

ჩუქების ხელშეკრულება
Donation Agreement

N2192022

ქ. თბილისი 21 სექტემბერი, 2022
Tbilisi September 21, 2022

ერთი მხრივ აშშ-ს უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის ოფისი (USSCO) (შემდგომში - მჩუქებელი), იურიდიული მისამართი: დიმიტრი უზნაძის 117, საიდენტიფიკაციო კოდი №204582941, წარმოდგენილი ორმხრივი ურთიერთობების ოფიცერთ - მაიორ დანიელ სეკულას სახით, სახით, და მეორე მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში - დასაჩუქრებული ან სამსახური), მისამართი: რუსთაველის ქ. N90. საიდენტიფიკაციო კოდი №220418956, წარმოდგენილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მამუკა წოწერიას (პ/ნ 19001031305) სახით, ვდებთ ჩუქების ხელშეკრულებას შემდეგზე (შემდგომში - ხელშეკრულება):
ხელშეკრულებაში მჩუქებელი და დასაჩუქრებული ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც „მხარეები“.

U.S. Embassy, Office of Defence Cooperation (USSCO) (hereinafter – Donor) legal address: Dimitri Uznadze Street 117, Tbilisi, Identification Number №204582941, represented by Bilateral Affairs Officer Major Daniel Sekula, on the one hand, and Zugdidi Municipality City Hall (hereinafter – “Donee” or “Service”), legal address: Rustaveli Street N29, Zugdidi, Georgia, Identification Number №220418956, represented by its Mayor – Mamuka Tsotseria (ID 19001031305), conclude the Donation Agreement (hereinafter “Agreement”):

Donor and the Donee hereinafter collectively referred to as the “Parties” in the Agreement.

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი
Article 1. Purpose of the Agreement

ხელშეკრულება მიზნად ისახავს მჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულისთვის 1 ერთეული ადაპტირებული მიკრო ავტობუსი - მოდელი Ford Transit Kombi-M1 350L (L3H2) Trend (VIN: WF0KXXTTTRKNU52467) უსასყიდლოდ გადაცემას საქართველოს კანონმდებლობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის დაკისრებული სოციალური პროგრამების ეფექტიანად განსახორციელებლად.

Purpose of the Agreement is to donate 1 unit of adapted vehicles - model Ford Transit Kombi-M1 350L (L3H2) Trend (VIN: WF0KXXTTTRKNU52467) to Donee for free to effectively implement social programs imposed on the City Hall by Georgian legislation.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი და მხარეთა განცხადებები
Article 2. Scope of the Agreement

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მჩუქებელი დასაჩუქრებულს უსასყიდლოდ გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ერთ (1) ადაპტირებულ მიკროავტობუსს ღირებულებით 69,034.00 USD.

2.1. Within the framework of the Agreement, Donor will provide the Donee one adapted vehicle for free prescribed by the Agreement with the cost of 69,034.00 USD.

2.2. მჩუქებელი აცხადებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება წინამდებარე ხელშეკრულების დადების, ამასთან ხელშეკრულების საგანს გააჩნია ყველა ის მახასიათებელი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციურ გამოყენებას.

2.2. The Donor confirm that he has the authority to enter into this Agreement, herewith the subject matter of the Agreement has all the characteristics that ensure the functional performance of the relevant equipment.

2.3. მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების გადაცემის შესახებ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.3. After the provision of the goods prescribed by the Agreement, Acceptance and Delivery Act will be concluded between the parties.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები
Article 3. Rights and Obligations of the Parties

3.1. მჩუქებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემა.

3.1. Donor is obliged to: Ensure provision of the goods prescribed by the Agreement to the Donee after signature of the Agreement;

3.2. მჩუქებელი ვალდებულია დასაჩუქრებულს გაუწიოს რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონების ეფექტიან ექსპლუატაციას.

3.2. Donor is obliged to: Give recommendations to the Donee based on the monitoring results, which will contribute to effective exploitation of the goods prescribed by the Agreement.

3.3. დასაჩუქრებელი უფლებამოსილია მჩუქებელს წარუდგინოს მოთხოვნა ხელშეკრულების საგნის დროულად გადაცემის შესახებ.

3.3. Donee is entitled to: Ask the Donor to transfer the subject of the Agreement in timely manner.

3.4. დასაჩუქრებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისთვის გადაცემული ქონება გამოიყენოს სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესასრულებლად, უზრუნველყოფს მათ გამართულ ფუნქციონირებასა და შეკეთებას საჭიროების შემთხვევაში.

3.4. Donee is obliged to use the goods prescribed by the Agreement and provided to it for implementation of the functions and obligations imposed on the Service, ensure purposeful usage of the donated goods, its proper maintenance and repair in case of necessity.

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტი და ანტიკორუფცია

Article 4. Conflict of Interest and Anti-corruption

4.1. დასაჩუქრებელმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მჩუქებელს ნებისმიერი სიტუაციის შესახებ, რომელიც შეიცავს ან დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტთან.

4.1. The Donee shall take all reasonable precautions to avoid any conflict of interests and shall inform the Donor without delay of any situation constituting or likely to entail a conflict of interests.

4.2. მხარეები აღიარებენ, რომ მჩუქებელს გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა მექრთამეობასთან და კორუფციასთან. დასაჩუქრებელი დაიცავს საქართველოში მოქმედ მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართულ და ანტიკორუფციულ ყველა კანონს.

4.2. The Parties recognize that the Donor has a zero tolerance approach to bribery and corruption. The Donee will comply with all relevant Georgian anti-bribery and anti-corruption laws.

მუხლი 5. ხელშეკრულების შეწყვეტა

Article 5. Termination of the Agreement

5.1. ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული ვადის დასრულების შემთხვევაში.

5.1. The Agreement shall be terminated at the expiry of the validity date indicated in Article 8 of the Agreement.

5.2. ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რაზედაც მხარემ ასეთი განზრახვის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 2 (ორი) კვირით ადრე.

5.2. This Agreement may be terminated for other legal reasons determined by the current legislation of Georgia. The Party shall notify the other Party concerning such intention in writing 2 (two) weeks prior to termination.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

Article 6. Force majeure

6.1. თუ რომელიმე მხარეს ფორსმაჟორული გარემოებების გამო ხელი ეშლება, ვერ ასრულებს ან აგვიანებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, აღნიშნული არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მხარე უნდა განთავისუფლდეს ამ ვალდებულებისაგან ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის ვადის განმავლობაში იმ პირობით, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან დაგვიანება პირდაპირ კავშირშია ფორსმაჟორულ გარემოებებთან;

6.1. If due to force majeure circumstances the fulfilment of the obligations prescribed by the present Agreement is hindered, delayed or cannot be fulfilled by either Party, it will not be deemed as the violation of the terms and conditions of the Agreement and the Party shall be discharged from these obligations for the period of force majeure circumstances provided that failure to comply with the obligations or delay is directly connected to force majeure circumstances.

6.2. ფორსმაჟორული გარემოებების წარმოქმნისას მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ მსგავსი სიტუაციის სწრაფად აღმოსაფხვრელად. თუ ფორსმაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულება შეუძლებელი ხდება ასეთი გარემოებების დადგომიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს ეძლევა უფლება, მოითხოვოს ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

6.2. In case of force majeure circumstances, the Parties shall make every effort to eradicate such situation. If due to force majeure circumstances, obligations prescribed by the Agreement cannot be fulfilled properly within 30 (thirty) calendar days after occurrence of such circumstances, both Parties are entitled to request the amendment of the Agreement in accordance with changed circumstances and in case of disagreement – to request the termination of the Agreement on which the second Party shall be informed.

6.3. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ფორსმაჟორულ გარემოებებზე მიიჩნევა სტიქიური მოვლენები, სამოქალაქო არეულობა, ხანძარი, საომარი მოქმედებები და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც სცილდება ხელშეკრულების მხარეების კონტროლის ფარგლებს

და გამორიცხავს ხელშეკრულების პირობების შესრულებას ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიერ.

6.3. Pursuant to this Agreement, force majeure circumstances are natural disasters, civil disorder, fire, armed conflict and other circumstances that are beyond the control of the Parties to this Agreement and preclude the fulfilment of the terms and condition of the Agreement by both or either Party.

მუხლი 7. სხვა საკითხები **Article 7. Miscellaneous Provisions**

7.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

7.1. The Agreement is drafted according to the requirements of the legislation of Georgia.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება მიიჩნევა ბათილად, ამგვარი ბათილობა გავლენას არ იქონიებს ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დებულების იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე. მხარეები ყველა მიზანშეწონილ ზომას მიიღებენ, რათა შეცვალონ ბათილი დებულებები მსგავსი შინაარსის იურიდიული ძალის მქონე დებულებებით;

7.2. In the event if one or more provisions of this Agreement is considered as invalid for any reasons, such invalid provision shall not affect the legality of any other provision of this Agreement. The Parties will take any reasonable measures in order to change the invalid provision with a similar provision with legal force.

7.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

7.3. This Agreement shall be amended or modified only following to written authorization by the representatives of the Parties.

7.4. მხარეები შეეცდებიან მოლაპარაკების გზით გადაჭრან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი წესით დავის მოწესრიგება არ მოხერხდება, დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

7.4. The Parties shall undertake all reasonable measures to resolve any disputes arising out of, or in relation to this Agreement through negotiation. In the case of failure to reach a peaceful solution of such disputes and controversies, the claims shall be finally settled by the Common Courts of Georgia in accordance with Georgian legislation.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისური ენებზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

7.5. The Agreement is done in English and Georgian languages in 2 (two) original copies both having equal legal power. Each Party is given one copy of the Agreement.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
Article 8. Entry into Force of the Agreement and Validity

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.

This Agreement enters into force from the date the Parties sign it and is valid including January 31, 2022.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ხელშეკრულებას ხელს აწერენ მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები:

In witness whereof, the authorized representatives of the Parties sign the agreement:

მწუქებელი: Donor:	დასაჩუქრებული: Donee:
აშშ-ს უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის ოფისი (USSCO) U.S. Embassy, Office of Defence Cooperation (USSCO) საიდენტიფიკაციო კოდი №204582941 Identification number №204582941	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია Zugdidi Municipality City Hall საიდენტიფიკაციო კოდი №220418956 Identification Number №220418956
ორმხრივი ურთიერთობების ოფიცერი მაიორი დანიელ სეკულა Bilateral Affairs Officer Major Daniel Sekula _____	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წოწერია Zugdidi Municipality Mayor Mamuka Tsotseria _____